ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** ოთხშაბათი, 3 ოქტომბერი **№ 1599**

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ. въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.**

ხუთშაბათს, 4 ოქტო **ქართული თეატრი** მბერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

სამშობლო

დრამა 5 მოქმედებად დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, მდივანი და სხ.; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია 7 ოქტომბერს: მზადდება ახალი პიესა „გატეხილი იმედები" კომ. 2 მოქ.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოებს: 1) მადნეულობის გამოკვლევა—ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვ. 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში და 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეებს.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, 4 საათიდან 6 საათამდე. ადრესი: Георгіевская площадь, № 32. (8—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავათმყოფნი 10—11.

ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

მ. ლ. მარკოვიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

მკურნალი-ქალი

მარიამ ბაქრაძე

იღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 1-დან 3 საათამდე. ოლგინის ქუჩა, № 13. (10—7)

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ივანე ივანეს ძე

ზურაბიშვილი

გადავიდა ახალს სადგომში: Елисаветинская ул. (уголъ Кирочной) № 112. (5—2)

სკოლა და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა

სლეპცოვის ქუჩა, № 13, ოლგას ვიწრო ქუჩის (Ольгинскій переулокъ) მახლობლად.

ამზადებენ ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის. (5—174—5)

ექიმი

პ. მ. ელიოზიშვილი

ღებულობს ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

მევენახეთა და მებაღეთა კრების თავმჯდომარე უცხადებს ყველა იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ კრებაში, რომ ხსენებული კრება დაიწყება 14 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

კრების შესახებ ცნობების მისაღებად მსურველებმა უნდა მიჰმართონ: დილის 10 საათიდან 12-მდე გამოფენაზე, მიწად-მოქმედების განყოფილებაში, კრების საქმის მწარმოებელს ბ. ვიშნევსკის, ხოლო შემდეგ, 3 საათამდე—სამეურნეო საზოგადოების ბიუროში. (3—2)

ისტორიული თხზულება (რუსულად)

ზ. ავალიშვილისა

საქართველოს შეერთება რუსეთთან

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის" წიგნის მაღაზიაშია. ისყიდება იქვე და ლ ხიდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—31)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცელი"-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

სახალხო კითხვები

—

როდესაც ამ სამი წლის წინად საფრანგეთში „სახალხო უნივერსიტეტების" შესახებ ატიძრა ლაპარაკი, საქმის დამწყებთ უნდა გადაეწყვიტათ შემდეგი კითხვა: როგორი უნდა იყოს სახალხო აუდიტორია? რა უნდა მიაწოდონ ხალხს? სახალხო უნივერსიტეტის საშუალებით მეცნიერების გავრცელებაა საჭირო ხალხში, თუ იგი უნდა იყოს გამოყენებული, როგორც იარაღი პოლიტიკურ ქადაგებისათვის?

ამაზე სამნაირი აზრი გამოითქვა. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ „სახალხო უნივერსიტეტი" უნდა იყოს მეცნიერების ტაძარი, რომ პოლიტიკურ აგიტაციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამ ტაძარში. მეორენი ამბობდნენ, რომ „სახალხო უნივერსიტეტი" პოლიტიკურ სკოლად უნდა გახდეს და რომ სხვა-და-სხვა პარტიებმა უნდა მოიხმარონ ეს სკოლა თავიანთ აზრების გასავრცელებლად. მესამენი იმ აზრისანი იყვნენ, რომ სახალხო უნივერსიტეტში პოლიტიკას მეცნიერებასთან ერთად თანაბარი ადგილი უნდა ეჭიროს.

პირველი აზრის მომხრენი იმითი ასაბუთებდნენ თავის შეხედულებას, რომ უმაღლესს სწავლის გავრცელებას ხალხში დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, რადგან სწავლა და ცოდნა საუკეთესო იარაღად მიაჩნდათ ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ამისათვის ისინი სცდილობდნენ სამეცნიერო სწავლის პროგრამის საშუალებით სისტემატიურ ლექციების კითხვა დაეფუძნებინათ სახალხო უნივერსიტეტში და ასე თუ ისე მოაწყეს კიდეც ეს საქმე.

მეორე ჯგუფის ხალხი, რომელიც პოლიტიკის შემოტანის მომხრე იყო სახალხო აუდიტორიაში, იმ აზრისაა, რომ სახალხო უნივერსიტეტში ყოვლად შეუძლებელია მეცნიერების მკვიდრ ნიადაგზე დაყენება და სისტემატიურ ლექციების მოწყობა. ეს იმიტომ, რომ ხალხი მოდის „აუდიტორიაში" საღამოობით, მუშაობის შემდეგ, დაღლილი და დაქანცული და ამ მდგომარეობაში ყურადღებას ვერ ადევნებს ლექტორის კითხვას. მეორეც ის, რომ «სახალხო უნივერსიტეტი» არ არის მოწყობილი სამეცნიერო მუშაობისათვის. უნივერსიტეტში მოსიარულე ხალხი ვერ იმუშავებს ლაბორატორიებში (ფიზიკის და ქიმიის დარგებში), რადგან ყველა ამისათვის მეტი თავისუფალი დრო უნდა ჰქონდეს ხალხს და „უნივერსიტეტიც" უკეთ უნდა იყოს მოწყობილი. ასე რომ, რაკი მეცნიერების რიგიანად სწავლება ჯერ-ჯერობით არ მოხერხდება ამგვარ დაწესებულებაში, პოლიტიკის შემოტანაა საჭირო „აუდიტორიაში", რის საშუალებით პოლიტიკური გაწრთვნა სასურველ მიმართულებას მიიღებსო.

მესამე აზრის მომხრენი ამბობდნენ, ცხოვრება, პოლიტიკა და მეცნიერება ისე არიან გადაბმულნი ერთმანეთზე, რომ მათი განცალკევება მოუხერხებელია და შეუძლებელიც. მეცნიერიც კაცია, მასაც აქვს თავის შეხედულება ცხოვრების ავ-კარგიანობაზე, ამა თუ იმ პოლიტიკის მიმდინარეობაზე. ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ კაცმა—თუნდაც დიდი მეცნიერი იყოს იგი—ხელი აიღოს თავის საზოგადო აზრებზე, რომ დაჰფაროს და მიმალოს თავის გრძნობები, რომ არ გამოსთქვას თავისი აზრი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამისდა მიხედვით სახალხო უნივერსიტეტში მეცნიერებასთან ერთად პოლიტიკას და ცხოვრების განმარტოებასაც უნდა ჰქონდეს ადგილი. სახალხო უნივერსიტეტი უნდა იყოს ცოცხალი დაწესებულება, ცხოვრების მოთხოვნილებით გამოწვეული.

ამ ნაირად სჯიდნენ საქმის მოთავენი და თანამგრძნობი პრესსა. ბოლოს-და-ბოლოს შეიმუშავეს წესდება. წესდების შემუშავების დროს უფრო პირველი ჯგუფის აზრებით ხელმძღვანელობდნენ, ე. ი. ეცადნენ «სახალხო უნივერსიტეტში» სამეცნიერო სწავლა რიგიანად მოეწყოთ და პოლიტიკური აგიტაცია და კამათობა გაედევნათ „აუდიტორიიდან". და თუმცა ეს გადასწყვიტეს და შესაფერი წესდებაც შეადგინეს, მაგრამ ნამდვილად კი ჯერ-ჯერობით ვერას გზით ვერ მოახერხეს თავიანთი პროგრამის ასრულება. პრაქტიკულად საქმე ისე მოეწყო, როგორც ჰქადაგებდნენ მესამე ჯგუფის პირნი. „უნივერსიტეტში" სისტემატიურ ლექციებსაც ჰკითხულობენ, პოლიტიკურ აზრებსაც ჰქადაგებენ, თანამედროვე ცხოვრებასაც აფასებენ, სალიტერატურო წიგნებზედაც ლაპარაკობენ და „სახალხო აუდიტორიისათვის" აქამდის ვერ მიუციათ სასტიკი აკადემიური ხასიათი.

არჩილ ჯორჯაძე.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

1 ოქტომბერი

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტარის თანაშემწე ტეცნერი დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტრის თანამდებობის აღმასრულებლად.

პეკინი. ჩინეთის რწმუნებულებმა გადასცეს დიპლომატთა კორპუსის დეკანს, ესპანიის ელჩს კოლოგანს, 450 მილიონ ტაელის ჩეკი სამხედრო საზღაურის გადასახდელად.

ასხაბადი. 26 სექტემბერს სამხედრო მინისტრი საგანგებო მატარებლით წავიდა მერვას. აქაურ სავაჟო პროგიმნაზიის სადღესასწაულო აქტზე მინისტრმა გამოაცხადა, რომ პროგიმნაზია გიმნაზიად იქნება გადაკეთებული.

მოსკოვი. დღეს აქაურ სამეცნიერო საზოგადოებათ მოახდინეს სადღესასწაულო კრებები ვირხოვის პატივსაცემლად. პროფესორებმა შერვინსკიმ, ოგნევმა, ანუჩინმა, სინიცინმა და რუს ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარემ იგნატიევმა წარმოსთქვეს სიტყვები, რომლებითაც დაახასიათეს ვირხოვი როგორც მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ადამიანი. ვირხოვს დეპეშა გაეგზავნა. ექიმის ბლუმენტალისაგან დეპეშა მოვიდა, რომლით ის იტყობინება, რომ ვირხოვმა მიანდო გამოუცხადოს ხსენებულ სამეცნიერო საზოგადოებათ გულითადი მოკითხვა და ულრმესი მადლობა. ვირხოვი უმატებს, რომ მეტად კმაყოფილია რუსეთისაგან პატივისცემით და, მიუხედავად იმისა, რომ ღრმა მოხუცებულია, განზრახვა აქვს მოვიდეს რუსეთში და პირადათ უთხრას მადლობა რუს-მეცნიერთ.

ხარკოვი. რვა ციგანმა, რომელთაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, განაცხადეს, რომ ჰსურთ სენატში განასაჩივრონ სასამართლოს გარდაწყვეტილება. აქ წვიმა მოდის.

ოდესსა. აქაური საექიმო საზოგადოებანი დღესასწაულობენ ვირხოვის ოთხმოცი წლის შესრულების დღეს, წარმოსთქვეს სიტყვები. იუბილარს გაუგზავნეს მისალოცი დეპეშები.

კიევი. უნივერსიტეტში შვიდმა საექიმო საზოგადოებამ დღესასწაული გადაიხადა ვირხოვის პატივსაცემლად. წარმოსთქვეს ხუთი სიტყვა და ადრესი გაუგზავნეს იუბილიარს.

პურის ვაჭრობა ნაკლებია.

ვილნო. ბლონდესის ცნობილი საქმე მეორეთ გაირჩევა ოლქის სასამართლოში 9 ნოემბერს.

პრეტორია. 2 სექტემბრიდან დაუტყვევებიათ კიდევ 18 უფროსი ბური და სამუდამოთ განუდევნიათ სამხრეთ-აფრიკიდან. ენდი ბოტა გავიდა მდინარე ბავიანზე და ჩრდილოეთისაკენ მიდის. ჰფიქრობენ, რომ მან ერთი რაზმი გაგზავნა მის ტრანსპორტის გასაყოლად; ეს რაზმი აღმოსავლეთისაკენ უნდა მიდიოდეს

ტულონი გრაფი დელავო გუშინ ჰაერონავტით ალჟირისაკენ წავიდა

სალონიკი. საფრანგეთის ვიცე კონსულს გუშინ თავს დაესხნენ მონასტერში ოსმალეთის ჯარის-კაცები. დამნაშავენი მაშინვე დააპატიმრეს. ჯარის უფროსი ბოდიშის მოსახდელად იყო ვიცე-კონსულთან.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი «დეილი ნიუს»-ი თხოულობს, ლიბერალური დასის მეთაურად ჯონ მორლეი დავაყენოთო. გაზეთი ამბობს: ამ ბოლოს დროს ლიბერალური დასი მთლად აირ-დაირიაო. ლიბერალ-იმპერიალისტებმა ასკვიტის მეთაურობით ისე გაიწიეს, რომ დასის ოფიციალურს მეთაურს კემპბელ-ბანერმანს სრულობით ყურს აღარ უგდებენ და ბევრში ეწინააღმდეგებიან კიდეც ლიბერალთა უმეტესობას. გაზეთი სწერს:

«გულითა ვსწუხვართ, რომ ლიბერალ-იმპერიალისტები ლიბერალურ დასს გადაუდგნენ; ამ გადადგომის წყალობით დასს რამდენიმე ნიჭიერი კაცი მოაკლდა (ასკვიტი, გრეი და სხვ). იმედი გვაქვს, გადამდგრები ჭკუაზე მოვლენ და ისევ ლიბერალებს მიემხრობიან. მაინც ლიბერალურ დასს კარგი ხელმძღვანელი სჭირია, მეტადრე ამ ჟამად, როდესაც ჩვენ ქვეყანას ასე სჭირია ლიბერალების შველა და ქომაგობა. ამბობენ, ბ. ბ. ჰენრი კემპბელ-ბანერმანი, ვილიამ ჰარკორტი და ჯონ მორლეი მალე თათბირს გამართავენ და საქმეთა ვითარებაზე მოილაპარაკებენო. ეს ამბავი მართალი უნდა იყოს. ახალი იმპერიალიზმი მარტო მაშინ გაიმარჯვებს, როცა ლიბერალიზმა მთლად მოისპობა, მაგრამ ლიბერალიზმს მოსპობა არ მოულის. ჩვენის აზრით, ლიბერალური დასის აღდგენას ყველაზე კარგად ჯონ მორლეი შეიძლებს. პოლიტიკოსთა შორის ისაა ჩვენ დროში ერთად ერთი გამოჩენილი კაცი, მარტო მორლეის შეუძლიან ჩვენი ერის გული მიიზიდოს ისე, როგორც გლადსტონი მიიზიდავდა ხოლმე. ოდონდ მორლეიმ ერთი ხმა ამოიღოს და ხალხი ათასობით გაჰყვება».

✿ იორკის არქიეპისკოპოსმა თავის მრევლს ეპისტოლე მისწერა და ურჩია, ერთი დღე ვიუქმოთ, ვილოცოთ და ჩვენი ცოდვა მოვინანიოთ, თორემ, როგორც ეტყობა, ღმერთი ძლიერ განრისხებულია ჩვენზე. ესაა მიზეზი, რომ ჩვენ მრავალ ჯარს ბურების ერთი ბეწო ჯარი ვერ დაუმორჩილებიაო.

✿ ყველა კონსერვატიული გაზეთები ბეჯითად ურჩევენ მთავრობას: რასაც კიჩენერი თხოულობს, ყველაფერი შეუსრულეთ, დიდი ჯარი მიაშველეთ, ოღონდ ამ წყეულს ომს ბოლო მოუღეთო.

✿ მენახშირე-მუშების ფედერაციის კრებამ ირმინჰამში ერთ ხმად დაადგინა, მაღნებში მომუშავე მოზარდ ყმაწვილებს 8 საათზე მეტს არ უნდა ამუშავებდნენო. კრებამ დაავალა თავის გამგე კომიტეტს, შინაგან საქმეთა მინისტრთან დეპუტაცია გაგზავნოს. დეპუტაციამ უნდა ითხოვოს, რომ მთავრობამ შესაფერი კანონი შეადგინოს და თავის სახელით წარუდგინოს პარლამენტს. თუ რისთვის და რა აზრით მოითხოვა კრებამ მოზარდებისთვის სამუშაო დღის შემცირება, ამის თაობაზე გაზეთები შემდეგს სწერენ:

«აქამდე პარლამენტი უფრო იმიტომ არ ამტკიცებდა ხოლმე კანონ პროექტს 8 საათის სამუშაო დღის თაობაზე, რომ ამ კანონს ნორტუმბერლენდის და დერგემის მაღნის მუშები არ თანაუგრძნობდნენ. ეს მუშები იმ აზრისა არიან, რომ ყველ წლოვან კაცს უფლება აქვს, რამდენიც უნდა, იმდენი იმუშაოსო; ამ უფლების შეზღუდვა შეუძლებელიაო. ამ კანონ-პროექტის მოწინააღმდეგე დეპუტატებსაც მეტი არ უნდოდათ; ხელზე დაიხვევდნენ ხოლმე ხსენებული მუშების აზრს: აი თითონ მუშებს არ სწადიანთ, რომ 8 საათის სამუშაო დღე დაწესდესო და კანონ პროექტს 8 საათის სამუშაო დღის თაობაზე ყოველთვის უარჰყოფდნენ ხოლმე რადგანაც ფედერაციისაგან შედგენილ ახალ პროექტში მარტო მოზარდ მუშებზეა ლაპარაკი, ამიტომ ხსენებულ აზრს მნიშვნელობა ეკარგება და იმედია პარლამენტიც დაამტკიცებს ამ კანონ-პროექტს. თუ პარლამენტმა ეს პროექტი დაამტკიცა, მაშინ ნორტუმბერლანდისა და დერგემის მენახშირე მუშებს საბუთი აღარ ექნებათ ამ კანონის აღსრულების წინააღმდეგნი იყვნენ. ნამდვილად სრული წლოვანი მუშები 8 საათზე მეტს არა მუშაობენ მაღნებში და ხსენებულ კანონს მარტო იმის გულისთვის ეწინააღმდეგებოდნენ, რომ მისი წყალობით თავიანთ შვილებს 10 საათს ვეღარ ამუშავებდნენ. ამ რიგად, თუმცა ახალი პროექტი მარტო მოზარდი თაობისათვის თხოულობს 8 საათის სამუშაო დღის დაწესებას, მაგრამ ნამდვილად ყველა მუშებისათვის დააწესებს 8 საათის სამუშაო დღეს.

შეერთებული შტატები. ცნობილი რუსი მეცნიერი მაქსიმ კოვალევსკი ამ ჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია და იქიდან საინტერესო წერილებს სწერს გაზ. «რუსსკია ვედომოსტი»-ში. უკანასკნელი წერილი სან ფრანცისკოდანაა მოწერილი. კოვალევსკი სწერს:

«თუმცა სან-ფრანცისკო ამერიკის განაპირას მდებარეობს, მაინც ეს ქალაქიც ისეთივე წმინდა ამერიკული ქალაქია, როგორც ჩიკაგო, პიტსბურგი და კლივლენდი (განთქმულ ფოლადის ტრესტს ამ ორ უკანასკნელ ქალაქში აქვს თავის ქარხნები და გათქმული გაფიცვაც იქ იყო გამართული. ზოლგოსიც კლივლენდელია). ამიტომ საკვირველი აღარაა, რომ მრეწველების ტრესტები და მუშების ტრედ-უნიონები აქაც ყველას პირზე აკერია. ტრესტის დაარსებას ყველა მრეწველები ჰფიქრობენ. თითონ ჩინელმა მოვაჭრეებმაც კი (სან ფრანცისკოში 15,000 ჩინელი ცხოვრობს) მიუგეს თვალი ამერიკელ მრეწველებს და ტრესტის დაარსებას ეცადნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს, ხომ იცით: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო. ჩინელ კაპიტალისტებს მუშებმა განზრახვა შეუტყვეს და შეუთვალეს: ან კი როგორ გაჰბედეთ და მაგისთანა აზრი გულში გაიტარეთო, ეხლავე გაფიცვას მოვახდენთო. ამ ჭუქარამ ჩინელი კაპიტალისტები ასე შეაშინა, რომ მუშების სასარგებლოდ დიდი ჯარიმა გადაიხადეს, ოღონდ მუშაობაზე ხელს ნუ აიღებთო. მუშებმა ჯარიმა გადაახდევინეს და ქეიფში გაფლანგეს.

მორგანის განთქმული ტრესტის და მუშების ტრედ-უნიონის ბრძოლის თაობაზე სან-ფრანცისკოს გაზეთებში დღე და დღე მრავალი წერილი იწერება. აქაური დემოკრატიული გაზეთი «ეკზამინიერი» აშკარად მიუდგა და თავ-გამოდებით ესარჩლება მუშების ტრედ-უნიონს. არა მგონია, სხვაგან სადმე ესე ცხარედ ლაპარაკობდნენ და სჯიდნენ მორგანის ტრესტის და მუშების ტრედ უნიონის ბრძოლაზე, როგორც აქ, სან-ფრანცისკოში. ეს ალბად იმით აიხსნება, რომ აქაც ნავთსადგურის მუშებმა დიდი გაფიცვა გამართეს. ამათ ბევრი სხვა მუშაც მიეხრო. შეერთებულ შტატებში რაწამს მოახდენს ვინმე გაფიცვას, მაშინვე სხვა მუშებიც მიემხრობიან ხოლმე, თითონაც გაფიცვას მოახდენენ. ამ ნაირ გაფიცვას «თანაგრძნობის გაფიცვას» ეძახიან. დიდი ფული უჯდებათ «თანაგრძნობის გაფიცვები», მაგრამ მუშებმა იციან, თუ ესე არ მოიქცნენ ვერას დროს ვერ გაიმარჯვებენ. აი აქაც, ერთი პირისა და თანხმობის წყალობით, გაფიცული მუშების რიცხვი 10,000 ავიდა. მთელ სან ფრანცისკოში კაცს ვეღარ იშოვით, რომ გემი დატვირთოს, გემები ვერსად წასულან, სოფლელ მეურნეებს პური ვეღარ მოუზიდნიათ საზღვარ-გარეთ გასაგზავნად და ეშინიათ, ვაი თუ წლევანდელი პური სულაც მინდორში დაგვილპესო, მთელი წლის მოსავალმა უსარგებლოდ ჩაიაროსო. ამიტომ ყველა მრეწველები სულით და გულით მონდომებულები არიან, რომ ეს გაფიცვა, რაც შეიძლება, მალე გათავდეს.

კაპიტალისტები და მეკემეები ყოველნაირად ცდილობენ, გარედან, სხვა მხრიდან მოიყვანონ მუშები. სტუდენტები საზაფხულოდ იყვნენ დათხოვნილნი. ერთი მეკემის შვილმა სტუდენტმა იფიქრა: მოდი, ღარიბ სტუდენტებს დავუძახებ სამუშაოდაო. ამერიკაში შრომა არავის ეთაკილება, ამიტომ სტუდენტებმა თავიანთ ამხანაგის თხოვნა დიდის ხალისით შეასრულეს. მაგრამ მუშების მეთაურებმა სხვა თვალით შეჰხედეს ამ საქმეს. სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტი, სადაც ეს სტუდენტები სწავლობენ, სახელმწიფოთა და, სხვათა შორის, მუშების ხარჯითაც ინახება. მუშების მეთაურებმა მისწერეს უნივერსიტეტის რექტორს: «სტუდენტები ხალხის ხარჯით იზრდებიან და სწორედ ამ ხალხის ინტერესების წინააღმდეგ შეთქმულობა გამართეს. გთხოვთ, ამ შეთქმულობას ბოლო მოუღოთო». მუშების მომხრე გაზ. «ეკზამინერა»-მა დაბეჭდა ეს წერილი. ორი დღის შემდეგ რესპუბლიკელი დასის გაზეთებმა კიდევ რექტორის პასუხი დაბეჭდეს: «ფიზიკური შრომა არაფერი სათაკილო და სასირცხვილო არ არის. მე არაფერი უფლება არა მაქვს სტუდენტებს მუშაობა ავუკრძალო. გახსოვდეთ, რომ შრომის თავისუფლება—ჩვენი კონსტიტუციითაა დაწესებული».

მუშებმა კიდევ უპასუხეს: «ფიზიკური შრომა რომ სათაკილო და სასირცხვილო იყოს, არც ჩვენ ვიმუშავებდით; მაგრამ ჩვენ მაგაზე ხმაც არ ამოგვიღია; ჩვენ იმას ვჩივით, რომ სტუდენტები ჩვენის ხარჯით იზრდებიან, ჩვენი ხარჯით იღებენ უმაღლეს განათლებას და ჩვენვე გვემტერებიან, ჩვენვე ლუკმას გვიჭრიან. დაგვაცადონ, ჩვენი გავიტანოთ. გავიმარჯვოთ და მერე მობრძანდნენ და ჩვენთან იმუშავონ. თქვენ ბძანებთ, თავისუფალი შრომა — ჩვენი კონსტიტუციის დედა-ბოძიაო. სწორედ ჩვენც მაგას ვჩივით და მაგ დედა-ბოძის გამოცვლას ვცდილობთ».

გაფიცული მუშები მეტად აღელვებულები არიან. გაზეთებში ყოველ დღე ვკითხულობ, მუშებმა უწესობა მოახდინესო; ნამეტნავად გარეშე მუშებს ემტერებიან. თავიანთ მტრების შესაშინებლად მუშები დიდ კრებებს ახდენენ, ქუჩებში პროცესიებს ჰმართვენ; პოლიციასთანაც ხშირად მოსდით შეტაკება. ჩხუბის დანახვაზე ფრთხილი მოვაჭრეები თავიანთ დუქნებს და მაღაზიებს ხელად დაჰკეტენ ხოლმე.

ახალი ამბავი

✦ მიწად-მოქმედების დეპარტამენტს გარდაუწყვეტია დაწვრილებით გამოიკვლიოს ჩაის კულტურის საქმე ჩვენში. ამისათვის განზრახულია მომავალ წელს მოეწყოს სამეგრელოში და სოხუმის ოლქში ათი ახალი საცდელი ჩაის პლანტაცია.

✦ გუშინ-წინ სამეურნეო საზოგადოების სადგომში დაიწყო მერძევეთა და საქონლის მომშენებელთა კრება ქალანთარის თავმჯდომარეობით. კრებამ საჭიროდ სცნო ტფილისში საგანგებო კომიტეტის დაარსება კავკასიაში მერძევეობის მდგომარეობისა და საჭიროების შესასწავლად.

✦ პეტერბურგის და მოსკოვის გუბერნიების მარშლები ბ. **ზინოვიევი** და თ. **ტრუბეცკოი** გუშინ-წინ მცხეთას იყვნენ დღეობის სანახავად. მცხეთიდან მარშლები კავკავის გზით რუსეთში წავიდნენ.

✦ ტფილისში მუსიკის მასწავლებელმა ვ. ა. პელლიონმა გამოსცა ამ დღეებში ვალსი „იუბილეი“, რომელიც თავად-აზნაურობას უძღვნა.

✦ 7 ოქტომბერს, გიმნაზიის ქუჩის კუთხეში თ. არღუთინსკის სახლში გაიხსნება **ხელოვნების სკოლა**. ამ სკოლის გამგეობა მინდობილი აქვს ბ. კანდუროვს.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტრო შეუდგა **სამეურნეო-სახალხო კითხვების** ახალის წესების შემუშავებას. განზრახულია, გააადვილონ ამ კითხვების მოწყობის საქმე სოფლებში. სამინისტრო 4000 მანეთს თხოულობს კითხვების გასაძლიერებლად მთელს იმპერიაში.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა წარადგინოს საბჭოს ერთ უახლოეს სხდომაზე **ობოლთა სასამართლოს** თავმჯდომარის არჩევის საქმე, რადგან ეხლანდელ თავმჯდომარეს სულიევს ყავლი (4 წელიწადი) გაუვიდა.

✦ გუშინ გამომძიებელმა ჩვენება ჩამოართვა ქალაქის თვით-მმართველობაში მოსამსახურეთ **ქალაქის კასსაში** მომხდარ ქურდობის გამო.

✦ გუშინ-წინ ტფილისის **რეალურ სასწავლებელში** იყო წლიური აქტი, რომელზედაც ისტორიის მასწავლებელმა ბ. იაკ. ღულაძემ წაიკითხა ვრცელი მოხსენება „საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე“.

✦ გუშინ-წინ ტფილისის მეორე გიმნაზიაში გამართული იყო **ლიტერატურული დილა**, რომელზედაც, სხვათა შორის, მოსწავლე ყიფშიძემ წაიკითხა რეფერატი საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოგზავნა კავკასიაში საბეითალო დეპარტამენტის ვიცე დირექტორი ჩემერი საგუბერნიო ბეითალთა იმ კრების თავმჯდომარედ, რომელიც 23 ოქტომბერს უნდა დაიწყოს.

✦ ზაქათალის ოლქში 25 სექტემბერს პირველად აუცრეს 60 მდე ჰირიან საქონელს და 5000-მდე სალს. პირველ შემთხვევაში აცრამ ავადმყოფ საქონელს უნდა უშველოს, მეორე შემთხვევაში სალი საქონელი უზრუნველ ყოფილი უნდა იქმნეს ჰირით ავად-გახდომისაგან

✦ წელს ქუთაისის გუბერნიაში სიმინდს რაღაც ახალი **ჭია** გაუჩნდა. მთელს გუბერნიაში გავრცელებულა ეს ახალი სენი და დიდი ზარალიც უჩვენა მემამულეთ. ამიტომ ზოგიერთმა მემამულემ მიჰმართა ბ. მედვედიევს და დახმარება სთხოვა. მედვედიევმა მიანდო საქმის შესწავლა ტფილისის ბოტანიკურ ბაღის გამგეს როლლოვს, რომელსაც უკვე დაუმზადებია მოხსენება ამ საგნის შესახებ. ეს მოხსენება წაკითხული იქნება აგრონომთა განსაკუთრებულ თათბირზე.

✦ ტფილისის **საბაღოსნო სკოლის** სამეურნეო კომიტეტმა გარდასწყვიტა შეიძინოს სკოლისათვის ხორბლეულობისა და სხვა კოლექცია.

✦ **საბაღოსნო სკოლაში** მისაღები ეგზამენები უნდა მოხდეს ამ თვის შუა რიცხვებში. მიიღებენ 50-მდე მოსწავლეს.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის მოადგილე ინჟენერი **შაიკევიჩი** ტფილისიდან პეტერბურგს წავიდა.

✦ ტფილისში **ჩამოვიდა** მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი კოჟევნიკოვი.

✦ 16 ოქტომბერს ტფილისის **სამოსამართლო პალატაში**, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია საქმე ლორიის ნაწილის ბოქაულად ნამყოფის თავ. კონსტანტინე ვაჩნაძისა, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ედება ბრალად

✦ 29 სექტემბერს ტფილისის **სამოსამართლო პალატამ** განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების ივანე აგიაშვილისა, რომელსაც მთავრობისათვის წინააღმდეგობის ჩადენა ედებოდა ბრალად. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია აგიაშვილი და გარდაუწყვეტია ყო-

ველივე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ოთხის წლის მადნის სამუშაოდ გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზებზე გამოცხადებულია, რომ **რკინის გზის მოიჯარადრეებს** და მათ მუშებს აღარ მიეცემათ იმდენი უფასო ბილეთები, რამდენიც წინად ეძლეოდათ.

◆ როგორც ვიცით, ამ წლის 12 თებერვალს უმაღლესად დამტკიცდა თესლეულობისა და მარცვლეულობის აწონვით სყიდვა-გაყიდვის კანონი. თანახმად ამ ბრძანებისა, **ტფილისის გუბერნატორმა** წინადადება მისცა ქალაქის თავს, შეატყობინოს მას, თუ როდის და რა გვარად შეიძლება ამ ახალი ზომის განხორციელება თბილისში. ქალაქის თავის პასუხიდან სჩანს, რომ ტფილისში დიდი ხანია თესლეულობის ვაჭრობა წონვით სწარმოებს.

◆ სოფ. ზედა-უბანიდან (შორაპ. მაზ.) გვწერენ: „კაი ხანია, რაც ამ სოფელში გავრცელებულია „მუცელა“: როგორც ნამდვილ-წყაროებიდან შევიტყეთ, ამ სენით ავად ყოფილა 27 სული, რომელთაგანაც უკვე გარდაცვლილა 10. ამ ჟამად ავად არის 8 სული. სასურველია, რომ მთავრობა ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას და სამკურნალო შემწეობას აღმოუჩენდეს სოფლელებს.“

◆ სადგურ სურახანიდან გვატყობინებენ, რომ 1-ლ ოქტომბრის ღამეს **ავაზაკთა ბრბო** ტელეგრაფის მავთულების გაწყვეტის შემდეგ თავს დაესხა სადგურს, გაძარცვა სადგურის უფროსისა და სახაზინო ქონება და მძიმედ დასჭრა სადგურის დარაჯი.

◆ სადგურ ძირულიდან გვწერენ, რომ იქ ჩხუბის დროს **მოჰკლეს** ჩერნიგოვის გუბერნიის მცხოვრები ალექსი შურკინი. მკვლელი ანდრეევის ქარხანაზე მომუშავე ნიკიტა პლუბანცევია. პლუბანცევი დაპატიმრებულია.

◆ გუშინ-წინ, საღამოს 6 საათზე, ტრამვაის ერთი **ვაგონი** დაეტაკა მიხაილოვის ქუჩაზე, იუნკრის სასწავლებელთან, ცხრა წლის ბავშვს და იქვე მოჰკლა.

◆ ტფილისში სავაჭროდ ჩამოსული ორი ვაჭარი მურადიანცი და საგაიანცი გასცნობიან და დამეგობრებიან ტფილისში ვიღაც ხანაშვილს და ვართანოვს. ერთ საღამოს ამ უკანასკნელთ დაუპატიჟებიათ ახალი ნაცნობები, დაუთვრიათ შეზავებულის ღვინით და 1056 მანეთი **მოუპარავთ**. ქურდები დააპატიმრეს.

◆ შაბათს, 29 სექტემბერს, გოლოვინისა და ბარიათინსკის ქუჩის შესახვევთან მე-151 № ეტლი წამოეწია ერთს ვიღაც ხანში შესულ ქალს და ქვეშ მოიტანა. დაშავებული იმავე ეტლით მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

◆ 30 სექტემბერს, პოლიციის მე-5 ნაწილში ქვრივმა ზარა აბაჯაევისამ განაცხადა, რომ მის შინ-არყოფნის დროს ვიღაც ბოროტ განმზრახველმა გააღო მისი ბინა, მესხიევის ქუჩაზე მორგებულის გასაღებით და გამოიტანა სხვა და სხვა ნივთები სულ 214 მან. ღირებული. ქურდობაში ეჭვი განაცხადა ვიღაც მოსე ტერ-სტეფანოვზე. გამოძიება სწარმოებს.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, ნაშუადღევის 2 საათზე, ტფილისის მოქალაქის იაგორ დავითის ძის მდივანოვის სახლს კიბიდან მოსდებია ცეცხლი, რომელიც გადასულა იქვე სამზარეულოზე. ცეცხლი კაი რგა გაძლიერებული ყოფილა, მაგრამ დროზე მოუსწრია ცეცხლის მქრობელ რაზმს და ჩაუქვრია. ზარალი სახლის პატრონს 500 მან. მოსვლია. სახლი »სალამანდრას« საზოგადოებაში ყოფილა დაზღვეული 4,000 მან. ცეცხლის გაჩენის მიზეზად იმას აცხადებენ, რომ ხის კიბის ქვეშ ჩაყრილი ყოფილა ბურბუშელა, სადაც ეზოს დარაჯს უნდა ჩავარდნოდეს მოკიდებული პაპიროსი თუ სპიჩკა. გამოძიება სწარმოებს.

◆ ბაქოდან გვატყობინებენ, რომ ორ ოქტომბერს ღამე გასტეხეს საბუნჩის რკინის გზის ტოტის მეორე კლასის კასსა და წაიღეს 9 მ. 10 კ. და სხვა. ქურდები სახურავიდან ჩასულიყვნენ.

კავკასიის გამოფენა

VII

მევენახეობისა და მეღვინეობის განყოფილება

(მორე წერილი)

საუფლისწულო მამულთა მმართველობის მონაწილეობა გამოფენაზე მეტად საყურადღებოა მნახველისათვის, რომელიც ბევრ საგულისხმიერო საგანს გამოიტანს იქიდან. აქ სავსებითაა წარმოდგენილი ნიმუში საუფლისწულო მამულებში საუკეთესოდ დაყენებულის მეურნეობისა—და მნახველის დაკვირვება უნაყოფოდ არ ჩაივლის.

ამ მამულებში ყოველ გვარის წარმოების ნიმუშებია თავმოყრილი: აქ არის ჩაქვში (ბათუმის ახლოს) გაშენებულის პლანტაციის ჩაი, ჩაის თესლი, ჩაის ბუჩქი; ერთგვარი ხეა, ქაღალდის ხეს ეძახიან—ისიც არის აქ და ამ ხიდან გაკეთებული ქაღალდიც. ბევრია წარმოდგენილი ყურძენი — საჭმელი, თუ ღვინის დასაყენებელ, კახურისა და ევროპის ვაზებისაც; ღვინოები კახეთის მამულებიდან სხვა-და-სხვა ღირებულობისაა, არის 1888 წლის დაყენებულიც. სოფ. ნაფარეულში (კახეთშია) საუფლისწულო მამულების მმართველობამ ვარდის პლანტაციები გამართა ამ რამდენისამე წლის წინად. ვარდიდან ზეთს ჰხდიან, რომელიც ძვირად ჰფასობს ვაჭრობაში. ჩვენს გამოფენაზე ნაფარეულის ვარდის პლანტაციის ზეთიცაა გამოფენილი; წელს ერთ დესეტინაზე გაშენებულ ვარდისაგან ოთხი გირვანქა და ერთი მისხალი ზეთი გამოუხდიათ.

ამ ვიტრინაშივეა მოთავსებული ფოტოგრაფიული სურათები საუფლის-წულო მამულების ყოველ-გვარის მეურნეობისა. ეს სურათები ბ-ნ გოგოლ-იანოვსკის დაუმზადებია და მეტად უადვილებს მნახველს ამ მეურნეობის გაცნობას.

დიდი საყურადღებოა აქვე, ვიტრიანას წინ, ამართული სეტყვის ღრუბლების განმფანტავი ზარბაზანი, რომელიც გოგოლ იანოვსკისავე კახეთის მამულიდან ჩამოუტანია ჩვენს გამოფენაზე საჩვენებლად. მეორე ცალი ამ ზარბაზნისა გამოფენის შენობის გარედ ეზოშია გამართული და იქ ხან-და ხან გაისვრიან ხოლმე ხალხისათვის საჩვენებლად. საუფლის-წულო მამულებში დიდი სამსახური გაუწევია თურმე ამ ზარბაზნებს: ნაფარეულის ვენახები თითქმის ერთიანად გადაურჩენიათ სეტყვის ზარალისაგან და ჩინებულ ღვინის მოსავალიც მიუღიათ, მაშინ როდესაც გარშემო მდებარე ზვრები—მემამულეთა, თუ გლეხებისა—სულ ერთიანად დაუსეტყვია და მოსავალიც განადგურებულა. აბა, ვნახოთ, როგორ მალე შეიგნებს ჩვენი ვენახის პატრონი მეცნიერების ხერხის ხმარების საჭიროებას!.

არა ნაკლები ყურადღება ჩვენი მევენახეებისა და მეღვინეებისა უნდა მიიქციოს ბორდოდან (საფრანგეთშია) ჩამოტანილმა მეღვინეობისათვის საჭირო მანქანებმა (საქაჯავები, ყურძნის მარცვალის დამრჩევი და სხვ). აქვეა საუცხოო მოდელი ღვინის დასაყენებელ მანქანისა. ყველა ესენი წარმოუდგენია ბორდოდამ ფირმებს ბ-ნ პეპენისა, რუას და გასკეს.

შაბილის ქარხანას ამბუაზში (ესეც საფრანგეთშია) წარმოუდგენია ღვინის საქაჯავი და მტევნების გასარჩევი მანქანა.

ჩვენ დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა, რომ საუფლის-წულო მამულების გვერდით გამოფენილია ბევრ-ნაირი ჯიშის ყურძენი ბ-ნ შელკოვნიკოვისა. ეს იგივე შელკოვნიკოვია, რომელიც მეორე წერილში მოვიხსენიეთ, როცა სამიწად-მოქმედო განყოფილებაზედ გვქონდა ლაპარაკი.. თუმცა სამი კვირის განმავლობას გამოფენილი ყურძენი შეუწუხებია, მაგრამ მნახველი ცხადად დარწმუნდება, რომ ბ-ნ შელკოვნიკოვს მევენახეობა და მეღვინეობაც სამაგალითო ნიადაგზედ აქვს დაყენებული.

ყველა ექსპონატს ვერ ჩამოვთვლით ჩვენს წერილებში, ამისათვის არც დრო გვაქვს და არც ადგილი გაზეთში. ან რა უნდა უთხრას გულსა, გინა ცნობის მოყვარეობას მარტო სახელების ჩამოთვლამ და ბოთლების დასახელებამ. მოვიხსენიოთ მხოლოდ ისინი, რომელთაც ვიტრინები გაუმართავთ აქ და ღვინის სხვა-და-სხვაობა უფრო მეტი წარმოუდგენიათ შედარებით დანარჩენებთან. ესენი არიან: იმერეთიდან ვ. ი. ავალიანი—იმერეთის ღვინოებისა, ტფილისის ფირმები: „მელაანი“ თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისა და კომპ., ი. სულხანოვისა, პ. მ. მაკაროვისა, თავ. აბამელიქისა და მამულოვისა, ს. ი. კურდღელოვისა, ო. ი. ტერ არუთინოვისა, ი. კოლელოვისა გ. გ. კუზანოვისა, ი. ე. ოგანოვისა, ს. მ. საინოვისა, მ. დ. კირაკოზოვისა, ნ. ო. სტეფანოვისა, მ. გ. ტარასოვისა, ბ. გ. ლუარსაბოვისა და ე. ო. ისააკოვისა. ი. კრიგერს ბოჭკები წარმოუდგენია.

რამდენი არიან ამათგან მამულის პატრონი—თქვენ თვითონ იანგარიშეთ, მკითხველო.

—მე.

* *

გურიიდან ბ. ალ. შარაშიძემ ჩვენებური ყურძნის ჯიშების საინტერესო კოლექცია გამოაფინა. ყურძენი სულ 15 ნაირია. ვინ არ იცის, რომ გურიაში ბევრი საუცხოვო ღვინის მომცემი ვაზი ხარობს და ხარობდა, მაგრამ მოუვლელობამ და სხვა-და-სხვა სენმა თითქმის მოსპო ნაქები ჩხავერი, ჯანი, ცხილათობანი და სხ. ძმათა შარაშიძეებმა დ. ჩოხატაურის ახლოს შეიძინეს მამული და თავისი ხარჯით გახსნეს 2 კლასიანი სკოლა—სამეურნეო განყოფილებით; იღებენ მსურველთ მოვარჯიშეთაც და ასწავლიან, გარდა მევენახეობისა, მებაღეობასაც, მებოსტნეობას და სხ. ბ.ბ. შარაშიძეები გონივრული მოვლით აახლებენ ჩვენებურ ვაზს; ვაზები აქვთ ნამყენი ამერიკულ ვაზზე, რომ თავისი ნაშრომი დაიცვან ფილოქსერისაგან, რომელიც გურიაში კაი ხანია გაჩნდა. ეს 15 ნაირი ყურძენი ნამყენი ვაზებიდან არის მოკრეფილი, გამოფენილია: ციცკა, დონდღაში, რქა-წითელი, ჩხავერი, ალადასტური, თეთრი კამური, კახური საფერავი, მტევან-დიდი, ჯანი, ცხილათობანი, ჭუმუტა, საკმეველა და ერთი ამერიკული ვაზის ყურძენი გიბრიდ ფრანკკ.

* *

კანფეტების პავილიონის პატრონმა ბ. ამირალოვმა განაცხადა, რომ ვიღაც ბოროტ განზრახველთ გაუტეხიათ მისი პავილიონი და კანფეტები მოუპარავთ.

* *

გუშინ-წინ შეუდგნენ გამოფენილ ფქვილის ექსპერტიზას.

* *

ტეხნიკოსების განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა ეგრეთ წოდებული „რუსის მთები“, რომელიც გამოფენაზე გააკეთეს, და მოიწონა. ამიტომაც კომისარიატმა ნება დართო საქმის პატრონთ დაიწყონ მუშაობა.

* *

გამოფენის კომისარიატმა გაგზავნა თავიანთ სახლებში ქურთების ოჯახი და აქლემი და მეაქლემეც.

* *

გუშინ-წინ გერმანელ კოლონისტების ადგილებში გამოსცადეს ფინკის ფირმის გუთნები, მაგრამ ხალხიც ნაკლები დაესწრო და გამოცდამაც ცუდათ ჩაიარა უამინდობის გამო.

* *

29 სექტემბერს გამოფენაზე ყოფილა დღისით-1658 კაცი და საღამოთი 376; 30 სექტემბერს—დღისით 9263 და საღამოთი 879; 1-ლ ოქტომბერს 4542 კაცი. გუშინ სწორედ სრული თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გამოფენა გაიხსნა.

* *

კვირისათვის დანიშნული იყო გამოფენის თეატრში სლავიანსკის კონცერტი, მაგრამ არ შესდგა, რადგან თეატრის ადმინისტრაციასა და სლავიანსკის შორის უთანხმოება მოხდა.

* *

გუშინ დაიწყო საუფლისწულო უწყების სარდაფში ექსპერტიზა გამოფენილ ღვინოებისა.

* *

დღეს დასრულდა ხილეულობის ექსპერტიზა. ხილს მეტს აღარ მიიღებენ გამოფენაზე.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საიუბილეო-სადღესასწაულო კრება

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში კვირას, 30 სექტემბერს, საღამოს შესდგა სამეურნეო საზოგადოების საიუბილეო კრება, რომელსაც დაესწრნენ საზოგადოების წევრნი და მრავალნი მიწვეულნი პირნი. კრება გახსნა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის ამხანაგმა კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრმა ბ-ნმა სულტან-კრიმ-გირეიმ, რომელმაც გადასცა დამსწრეთ საზოგადოების პრეზიდენტის კავკასიის მთავარმართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის მილოცვა საზოგადოების 50 წლის შესრულების გამო და სურვილი, რომ კავკასიის საკეთილდღეოდ საზოგადოებას კვლავაც ნაყოფიერად ემოღვაწოს და ეშრომოს.

შემდეგ საზოგადოების საბჭოს წევრმა წაიკითხა მილოცვის დეპეშები: მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისა, რომელიც სწერს: „ვულოცავ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მის ნახევარ საუკუნის შესრულების საიუბილეო დღეს და ვუსურვებ ნაყოფიერს შრომას კავკასიის სასარგებლოდ და მით მთელი ჩვენი დიდის სამშობლოსა, რომლის კეთილ წარმატება დამყარებულია სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ნაყოფიერ წარმატებაზე“. წაკითხულ იქმნენ აგრეთვე მილოცვითი დეპეშები: მიწად მოქმედების დეპარტამენტისა, მიწად მოქმედების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის სახელით კომიტეტის მდივნის ბ-ნ ფილიპიევისა, ს.-პეტერბურგისა და ყაზანის საიმპერატორო უნივერსიტეტებისა; საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიისა, სამხრეთ-რუსეთის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა, რუსეთის საიმპერატორო საბოტანიკო ბაღისა, რუსეთის საიმპერატორო თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებისა, ნიკიტის მეღვინე-მებაღეობის სასწავლებლის დირექტორისა, რუსეთის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებისა, თერგის სამეურნეო საზოგადოებისა, რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოებისა, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა ქუთაისის განყოფილების წარმომადგენელისა და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და რედაქციებისა. კიევის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სახელით პირადად საზოგადოებას მიულოცა 50 წლის შესრულების დღე კიევის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ბ. რეპნინმა; ქალაქ-ტფილისის მცხოვრებთა და ქალაქის საბჭოს სახელით—ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა შესტაკოვმა და სხვათ.

შემდეგ სამეურნეო საზოგადოების მდივანმა ე. ო. იოსელიანმა წაიკითხა თვის მიერ შედგენილი სამეურნეო საზოგადოების 50 წლის მოღვაწეობის მიმოხილვის შესავალი, საიდგანაც სჩანს, რომ ამ ორმოც და ათი წლის წინად სამეურნეო საზოგადოების დაარსება ითავა მაშინდელმა ნამესტნიკმა უგანათლებულესმა თავ. მიხეილ სერგეისძე ვორონცოვმა. მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება ერთობ მიდუნებული და უსიცოცხლო იყო. თუმცა საქართველომ ოცი საუკუნის კულტურული ცხოვრებით შეჰქმნა მრავალი სალიტერატურო ნაწარმოებნი, რაც მაჩვენებელია ხალხში ადრევე საზოგადოებრივ აზრთა გაფურჩქვნისა, მრავალი ისტორიულნი ძეგლნი, მაგრამ მისი ცხოვრება ისეთ გარემოებაში იყო ჩაყენებული, რომ ანგარიშს არ უწევდნენ წარსულს და სიცოცხლე არ ემჩნეოდა აწმყოს; იყო საზოგადოება, მაგრამ არ იყო საზოგადოებრივი ცხოვრება. ამ დროს გამწესებული სახელმწიფო მოღვაწე თავ. ვორონცოვი კავკასიის ნამესტნიკად მალევე მიხვდა, რომ კავკასიის მართვა-გამგეობა მარტო კანცელარიის საშუალებით ყოვლად შეუძლებელი იყო. ამიტომ დაიახლოვა თვისთან ყველანი, ვისაც კი შეატყო უნარი საზოგადო მოღვაწისა, და ნელ-ნელა ხელი შეუწყო ჩვენში სხვა-და-სხვა

საზოგადო დაწესებულებათა შექმნას და მათს კარგს ნიადაგზე დაყენების საქმეს. თავ. ვორონცოვი არა მარტო მეურნეობისადმი სიყვარულით ხელმძღვანელობდა, როცა განიზრახა სამეურნეო საზოგადოების დაარსება, არამედ მისი სურვილი იყო აგრეთვე გამოენახა ცხოვრებაში, ოფიციალურ დაწესებულებათა გარეშე, ისეთი პირნი, რომელნიც დახმარებას გაუწევდნენ მის მიერ ხალხის საკეთილ-დღეოდ შემუშავებულ საშუალებათა განხორციელება-განვითარებას.

შემდეგ ბ-ნმა იოსელიანმა მოიყვანა ისტორიული ცნობები სამეურნეო საზოგადოების დაარსების შესახებ. საზოგადოების პრეზიდენტობა იკისრა ნამესტნიკმა უგანათ. თავ. ვორონცოვმა; ვიცე პრეზიდენტად ამოურჩევიათ თავ. ვ. ო. ბებუთოვი, ხოლო საბჭოს წევრებად—მ. პ. შჩერბინინი, დიმიტრი ი. ყიფიანი, ი. თ. ვიტტე, მდივნათ ი. თ. ზოლოტარევი და ხაზინადრად ვ. ტ. ბელიაევი. თავისი სიტყვა ბ-ნმა იოსელიანმა დაამთავრა იმ ცნობების მოყვანით, თუ რა უნდა ეკეთებინა საზოგადოებას და როგორ ასწრობდა პირველიდანვე ხალხში სხვა-და სხვა სამეუნეო ცოდნათა გავრცელებას და ან რა ხელშემშლელი პირობები ჰქონდა.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სასოფლო-სამეურნეო გაზეთის რედაქტორმა ა. ა. ქალანთარმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სამეურნეო საზოგადოების დაარსების დროს სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა მდგომარეობა ვერ იყო გამორკვეული და თუ ცოტა რამე კეთდებოდა, ეს უმთავრესად შინაურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ყოველივე ამისი მიზეზი იყო ის, რომ ჯერ ჩვენში არ მოეკიდებინა ფეხი იმ საეკონომიო პირობებს, რომელნიც ხელს უწყობენ ხალხში სხვა და სხვა ნაწარმოებთა რიგიანს ნიადაგზე დაყენების საქმეს. არ იყო მიმოსვლის საქმე გაუმჯობესებული და სხვა. ამ პირობებში შექმნილ სამეურნეო საზოგადოებას თავიდანვე სასურველი ნაყოფი ვერ მოჰქონდა, მაგრამ მუდმივმა და ნელ-ნელ მისმა მაცადინეობამ იმდენად გაავრცელა ხალხში სამეურნეო ცოდნა, რომ დღეს დიდი ბაზარი აქვს კავკასიის სხვა და სხვა ნაწარმოებთ: ბამბას, აბრეშუმს მატყლს, ყველს და სხვა. ყოველივე ამათს კარგს ნიადაგზე დაყენებას ხელს უწყობს კავკასიის მდიდარი ბუნება და თანდათან საერთაშორისო დამოკიდებულებით სამეურნეო ნაწარმოებზე მოთხოვნილება. მაგალითად, შვეიცარიული ყველი, რომელიც ჩვენში ყოველ-წლობით 20 ათას ფუთამდე მზადდება, არ ჩამოუვარდება თვისებით ნამდვილს შვეიცარიულს და კიდეც დიდს მეტოქეობასაც უწევს განსაკუთრებით ჩვენს ბაზარზე. სხვა-და-სხვა სამეურნეო დარგთა გაუმჯობესების საქმეში სამეურნეო საზოგადოებას უმთავრესად ის ღვაწლი მიუძღვის, რომ იგი ასწონ-დასწონდა ყოველივეს, გამოარკვევდა კარგსა და ცუდს მხარეებს რომელიმე ნაწარმოებისას და ამრიგად ხელს უწყობდა ამა თუ იმ სამეურნეო დარგის გავრცელებას.

თვისი სიტყვა ბ-ნმა ქალანთარმა დაამთავრა მისი აღნიშვნით, რომ ჩვენში სამეურნეო ნაწარმოებთა უკეთეს პირობების შექმნას ხელს უშლის საკმარის სკოლებისა, გამოსაცდელ მინდვრებისა და საერობო დაწესებულებათა უქონლობა.

ტაშის ცემით მიეგებნენ დამსწრენი უფროს აგრონომის ბ-ნ სტაროსელსკის სიტყვას, რომელშიაც აღნიშნა, რომ სამეურნეო საზოგადოების 50 წლის მოღვაწეობა დასაწყისია და ამის შემდეგ უფრო ბევრი აქვს გასაკეთებელი და საჭიროა მეტი უნარი, მეტი გამოცდილება, მეტი შრომა. ლექტორმა საზოგადოების ყურადღება მიაქცია კავკასიაში მეღვინე-მევენახეობის სამწუხარო მდგომარეობას და, უჩვენა რა ზოგიერთი მისი გასაუმჯობესებელი საშუალებანი, გამოსთქვა სურვილი, რომ მეტი შრომა და მეცადინეობა იქნეს მიღებული სამეურნეო დარგის გაუმჯობესობა წარმატებისათვის კავკასიაში.

თეატრი

1 ოქტომბერს საარტისტო საზოგადოების კქლუც თეატრში დაიწყო რუსული დრამატიული წარმოდგენები. სეზონის დასაწყებად წარმოადგინეს „ვაი ჭკუისაგან“ უკვდავი კომედია გრიბოედოვისა. პირველად წარმოსადგენად კარგი პიესა აურჩევიათ დასის გასაცნობათ, რადგან თითქმის ყველანი იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ამ წარმოდგენამ ცოტათი გული აუცრუვა საზოგადოებას. იქნებ მოთამაშენი უცხო საზოგადოების წინაშე ცოტათი შეკრთნენ, ეს შესაძლებელია. ამისათვის ძნელია პირველ წარმოდგენით მოთამაშეთა განსჯა. გაკვრით მაინც აღვნიშნავთ შემდეგს:

ტირასპოლსკისამ—სოფია პავლოვნა პირველში ცოტა ვოდევილური ხასიათი მისცა ამ როლს, შემდეგ კი კარგად გაატარა, მხოლოდ სიტყვების კარგად გამოთქმა თავისუფლად არ ეხერხებოდა. ამისთანა კომედიაში კი დიქციას და ლექსის ცოდნით წაკითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს. სხვებსაც ცოტა ვერ ეხერხებოდათ იგივე. ევგენიევისა—ლიზა, ყოველის მხრივ კარგი იყო. მაქსიმოვმა—ფომუსოვი, ორკუნინმა—ჩაცკი სავსებით ვერ დაგვიხატეს გრიბოედოვის ტიპები. ამათ მეტი მოეთხოვებათ, რადგან კომედიის სულის ჩამდგმელნი არიან. დანარჩენები სუსტნი იყვნენ.

სასამართლო

I

ორშაბათს, 24 სექტემბერს ქ. ქუთაისში ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ განიხილა საქმე შორაპნის მაზრის დაბა საჩხერის ნაწილის ბოქაულად ნამყოფის გაბრიელ ფიცხალაურისა, რომელსაც ბრალად საჩხერის მცხოვრების აწ გარდაცვალებულის გრიგოლა მაისურაძის გალახვა და ამ დანაშაულობის დასაფარავად სიყალბის ჩადენა ედებოდა. საქმის გარემოება შემდეგია: ამ რამდენიმე წლის წინად განსვენებულის მაისურაძისთვის სოფ. სავანის მცხოვრებს ან. აბაშიძეს შეუკვეთნია აკვანი ერთ თუმნად. აბაშიძეს რამდენიმე ხნის შემდეგ აკვანი დაუწუნებია და გამოუგზავნია მაისურაძისთვის უკანვე მიეღო და ფული დაებრუნებინა. ეს მაისურაძეს არ აუსრულებია და განუცხადებია, რომ მან აკვანი შეკვეთისამებრ გააკეთა და თუ რაიმე მიზეზი ჰქონდა, წაღების დროს უნდა განეცხადებიათო. აბაშიძეს ეს ამბავი უცნობებია პოლიციის ბოქაულის გ. ფიცხელაურისთვის და უთხოვია, დაებრუნებია გამკეთებლისათვის აკვანი. ბოქაულს დაუბარებია მაისურაძე, რომელთანაც მოლაპარაკების დროს ისე გამწარებულა, რომ რამდენჯერმე კიდეც შემოუკრავს მისთვის. მაისურაძეს ბოქაულზე საჩივლელად მიუმართავს პირდაპირ კავკასიის მთავარმართებლისთვის, რომლის განკარგულებითაც ბოქაული სამსახურიდან გადაუყენებიათ და პასუხის გებაში მიუციათ. ვიდრე ბოქაულს ეს განკარგულება გამოეცხადებოდა, მას შეუდგენია ყალბი ოქმი, რომელშიაც აწერილი ყოფილა, თუ როგორი შეურაცხყება მიაყენა მას მაისურაძემ სამსახურის აღსრულების დროს. ამ საქმის განხილვის დროს ქუთაისში დაბარებული ყოფილა 8 მოწმემდე. სამოსამართლო პალატამ ფიცხალაური დამნაშავედ უცვნია, მხოლოდ მაისურაძის ხელით შეურაცხების მიყენებაში და გარდაუწყვეტია ოთხი თვის ვადით ციხეში დაპატიმრება.

II

ამავე დღეს პალატამ განუხილავს საქმე ჰიათურის ბოქაულად ნამყოფის ნესტორ ნ. არდიშვილისა, რომელსაც სამსახურის დროს ჩადენილი სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდებოდა. პალატას არდიშვილი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 2 წლითა და ნახევრით გაგზავნა. არდიშვილი სამხედრო სამსახურში ნამყოფია, შტაბს-კაპიტანის ჩინით, და ჰყავს წვრილი ცოლ-შვილი. როგორც გავიგეთ, იგი არ დათანხმებულა სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილებას და საქმე უნდა განასაჩივროს უმართებულეს სენატში

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 ოქტომბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრო, თანახმად სამარის გუბერნატორისაგან მოსულ ცნობებისა, აცხადებს, რომ ბუგურუსლანის მაზრაში შიმშილობაა.

ქრისტიანია. პარლამენტმა დაამტკიცა წინადადება თუთუნზე და სიგარებზე ბაჟის მომატების შესახებ. კანონი დაუყონებლივ იწყებს მოქმედებას.

ტარკასტადტი. 1-ლ ოქტომბერს დახვრიტეს ბურების სარდალი შემანი.

მოსკოვი. აკურთხეს სახაზინო რეალურ სასწავლებლის ახალი შენობა.

ვიტებსკი. გუბერნიაში საერობო უფროსების თანამდებობის დაწესების გამო, დღეს საკრებულო ტაძარში ეპისკოპოსმა გადაიხადა წირვა და პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ ახლად დანიშნულებმა საერობო უფროსებმა ფიცი მიიღეს,

მოგილევი. საკრებულო ტაძარში ყოვლად უსამღვდელოესმა მიხაილმა გადაიხადა წირვა და პარაკლისი, რომლის შემდეგ ახლად დანიშნულებმა საერობო უფროსებმა ფიცი მიიღეს.

ეკატერინოსლავი. ადგილობრივმა საექიმო და სამეცნიერო საზოგადოებებმა გამართეს სადღესასწაულო სხდომა ვირხოვის პატივსაცემლად. სხდომაზე გუბერნატორი თავჯდომარეობდა.

ყაზანი. ექიმთა საზოგადოების წლიურს კრებაზე წარმოითქვა სიტყვები ვირხოვის პატივსაცემლად.

ხარკოვი. ყოველწლიური ბაზარი („პოკროვსკაია იარმარკა“) გაიხსნა. საქონელი ჩვეულებრივათ მოაქვთ; მყიდველი ნაკლებ მოდის.

ბალტიმორა. აქაურმა საოლქო სასამართლომ გადასწყვიტა, რომ რუსეთიდან შემოტანილ შაქარზე ბაჟის მომატება კანონიერი იყო, რადგანაც რუსეთის მთავრობამ შეღავათიანს პირობებში ჩააყენა შაქრის ქარხნები, რაც პრემიების მიცემას უდრისო.

ნიუ-იორკი. გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ს ვაშინგტონიდან ატყობინებენ, ბალტიმორის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება შაქარზე ბაჟის მომატების შესახებ უმაღლეს სასამართლოში იქნება განსაჩივრებული.

ვენა. დღეს გამოაცხადებენ, რომ პრინც ოტტონ ვინდიშრეცმა დანიშნა ერცჰერცოგინა ელისაბედ-მარია, განსვენებულის ერცჰერცოგის რუდოლფის ქალი.

პეკინი. იმპერატორის ბრძანებით დაწესდა სამი ახალი სახელმწიფო თანამდებობა და მოისპო რამოდენიმე მცირე თანამდებობა.

უცხოელთა უბნების მდგომარეობის შესახებ პეკინში სჯა ხელ-ახლავ ექნებათ, როდესაც სავაჭრო ხელშეკრულობაზე დაიწყება მოლაპარაკება.

ბიარრიც. რუსთა ეკლესიაში წესი აუგეს ახლად გარდაცვალებულს, 21 წლის ყმაწვილს, ვლადიმირ ბარიათინსკის; გარდაცვალებული თავად ალექსანდრე ბარიათინსკის ბიძაშვილია და კნიაჟნა იურიევსკაიას საქმრო იყო. პანაშვიდს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. გვამს პეტერბურგში მიასვენებენ.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 28 სექტემბერს

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	45,97½
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პრიზზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 ⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	432 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	323 მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	240½ გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5 % გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ- 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში 13 სექტემბერს, **დაიკარგა** ნოტარიუსის მიერ მოცემული საბუთის ქაღალდები. მპოვნელი მიიღებს საჩუქარს. ვსთხოვ გამოგზავნოს ოზურგეთში, იასე ორაგველიძეს. (5—171—5)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ. 2 Октября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.